ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4

"24" იანვარი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის" (ს/ნ:204535654) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის" (ს/ნ:204535654) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №19.1400.1726 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის" (ს/ნ:204535654) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**